**“დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტუმროს მომსახურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ” ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 13 აპრილის №02-716 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ**

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანების ”სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე მუხლის მეორე პუნქტის ”ი” ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ”ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ” ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 2 აგვისტოს №02-1666 ბრძანების, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი სამეცნიერო ცენტრის ადმინისტრატორის, რამაზ ჯანაშვილის 2012 წლის 25 მაისის წარდგინების (რეგისტრ. №02-5127/12) საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შევიდეს დამატება 2011 წლის 13 აპრილის ”დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტუმროს მომსახურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ” ადმინისტრაციის ხელმძღვანელის №02-716 ბრძანებაში და დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ პუნქტი:

   ”$1^1$. განისაზღვროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტუმროს საკონფერენციო მომსახურებისა და კვების ტარიფები დანართი №2-ის შესაბამისად.”

2. შევიდეს დამატება 2011 წლის 13 აპრილის ”დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტუმროს მომსახურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ” ადმინისტრაციის ხელმძღვანელის №02-716 ბრძანებაში და დაემატოს შედეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:

   ”$2^1$. სამსახურებრივი მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით მივლინებებში გამგზავრების, ასევე სამეცნიერო ან სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სტუდენტების გამგზავრების შემთხვევებში განისაზღვროს სასტუმროს მომსახურების ტარიფები (კვების გარეშე) 30%-იანი ფასდაკლების გათვალისწინებით.”

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ფინანსური სამსახურის უფროსს (ნინო ღუდუშაური) და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილი სამეცნიერო ცენტრის ადმინისტრატორს (ჯანაშვილი რამაზი).

4. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ასლები მიაწოდოს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული უნივერსიტეტის კუთვნილი სამეცნიერო ცენტრის ადმინისტრატორს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშისა და საფინანსო სამმართველოებს.

5. დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი

*დანართი №2*

*სასტუმრო დედოფლისწყარო*

*სასტუმროს ტარიფები*

| | | | |
|---|---|---|---|
| | საკონფერენციო მომსახურება | | |
| * | საკონფერენციო დარბაზი (1 დღე) | **120,00** | ლარი |
| * | კრების ოთახი (1 დღე) | **70,00** | ლარი |
| * | ყავის შესვენება (1 კაცი) | **3,00** | ლარი |
| * | ყავის შესვენება (1 კაცი) | **5,00** | ლარი |
| * | ბანკეტი (1 კაცი) | **40,00** | ლარი |
| | | | |
| | კვების ტარიფი | | |
| * | საუზმე | **10,00** | ლარი |
| * | სადილი | **14,00** | ლარი |
| * | ვახშამი | **16,00** | ლარი |
| * | ლანჩბოქსი | **10,00** | ლარი |

*ყველა თანხა შეიცავს დღგ-ს*